საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 3 23 0000611258

29/05/2023

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებ ით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველიპუნქტის„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.
1.2. აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 25 - ე პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2017 წლის 18 ივლისის №44 გადაწყვეტილებით.
2.2 აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ ცენტრის 2023 წლის 13 თებერვლის №166080 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 11 მაისს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ "ეკოლოგიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს" და „სწავლის სეროების კლასიფიკატორს". აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია შეწყდეს "ეკოლოგიის" საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 13 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს სსიპ - ილია სახელწიფო უნივერსიტეტის ,,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება ,,კომპიუტერული ინჟინერიის (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით.
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა არის ამ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი (დანართი №2).
4. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 29 მაისის სხდომის №607690 ოქმის №07 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი№3).
5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 29 მაისს.
6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულიკოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.

თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)/ Computer Engineering (Major)
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N44, 7/18/2017
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	კომპიუტერული ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0714 Electronics and Automation ელექტრონიკა და ავტომატიზაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	3/5 ჩოლოყაშვილის გამზირი, 0162, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	29/05/2023
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-

18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	31/12/2026